პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 206 (13590) | შაბათი, 10 სექტემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ნინოწლეულს ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების ხელმძღვანელობის სრულყოფის საკითხები და მიიღეს დადგენილება. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლები ამჟამად ეძლევა იმ სპეციალობის კადრებს, რომლებიც ჩვენს სახალხო მეურნეობას სჭირდება.

მაგრამ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანები, რომლებიც სკკპ XXIII კონგრესმა დასახა, მოითხოვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას.

ხალხთა საზოგადოების განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეცნიერების ღრმა და მატერიალური წარმოების, კულტურული მშენებლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სპეციალისტები, რომლებიც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს ამთავრებენ, კარგად უნდა იყონ შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ფლობდნენ უახლეს ცოდნას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, შეეძლოთ კვალიფიციურად გადაჭრან ეკონომიკის განვითარების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მარცხის ამოცანები. მაგრამ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ამჟამინდელ დროს ამ ამოცანებს, მათს მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, აგრეთვე სხვა სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც სასწავლებლები ექვემდებარებიან, ხუსტად იყენებენ უფლებებს, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ამ სასწავლებლებში სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობის დარგში, საკმაო კონტროლს არ უწევენ სპეციალისტთა მომზადების ხარისხს. სამინისტრო სისტემატურ მუშაობას არ ეწევა სასწავლებლთა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის სრულფასოვანი სტაბილური სახელმძღვანელოების მომზადებასა და საჭირო ტირაჟით გამოცემას, საკმაო ყურადღებას არ აქცევს იმ საკითხების დამუშავებას, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების პერსპექტივებთან, განათლების ეკონომიკის პრობლემებთან და სასწავლო პროცესის მეცნიერულ ორგანიზაციასთან. სერიოზული ნაკლოვანებებია სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვაში. დადგენილი არ არის ყველაზე მიზანშეწონილი თანაფარდობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადებაში.

ბევრი სასწავლებლის სასწავლო-მატერიალური ბაზა მთლიანად როდი შეესაბამება სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს. უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები ყავს, ხუსტად არიან ჩაბმული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემების დამუშავებაში.

ზოგიერთი რეპუბლიკისა და ოლქის პარტიულმა ორგანოებმა მოადუნეს ყურადღება სტუდენტებსა და მოსწავლეებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი, შეასუსტეს მომთხოვნელობა სასწავლებლების ხელმძღვანელობის ორგანოებისადმი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის და მათი განვითარების პერსპექტივების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი აღზრდილი უნდა იყონ მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით, უნდა ფლობდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ჰქონდეთ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ჩვევები.

მოკავშირე რეპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და ხაოლქო კომიტეტებს წინა-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲡ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲡᲣᲮᲝᲓ

50

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე

ჩვენი რესპუბლიკის საფეიქრო ძრწველების ერთ-ერთ მოწინავე სანარმოში — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში 8 სექტემბერს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო. ხ�ეიქროებში და ბრიგადებში ფეიქრები საქმიანად მსჯელობდნენ ჭიათურელთა შესანიშნავი თაოსნობის შესახებ, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს იმაზე, თუ როგორ გამოხმაურებოდნენ ჭიათურელთა მოწოდებას.

ამ თემაზე საუბარი გაიმართა ნოვატორი მქსოველის ბ. თეოდორაძის ბრიგადაში.

ბრიგადის წევრებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს წელს ხანი ქსოვილის გამოშვება. წინათ აღებული ვალდებულების დამატებით, ყოველ 1000 მანეთზე გაზარდონ 10 მანეთით, წლის ბოლოსთვის ბრიგადაში არ ჰყავდეთ არცერთი წევრი, რომელიც ვერ ასრულებდეს დღიურ ნორმას. ამასთან წელს მიაღწიონ იმას, რომ გამოუშვან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

ასეთი გადაწყვეტილებით მოვიდნენ თეოდორაძის მქსოველთა ბრიგადის წევრები კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

კრება შეესალა სიტყვით გახსნა საქართველო კომბინატის თავმჯდომარემ ვ. ჯორბენაძემ. იგი სიტყვას აძლევს კომბინატის მთავარ ინჟინერს ვ. ჭინაშვილს, რომელმაც კრების მრავალრიცხოვან მონაწილეებს გააცნო ჭიათურის მარგანეცის მრწველობის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მომართვის შინაარსი.

სიტყვას იღებს საქსოვი წარმოების უფროსი, მოადგილე ო. ღამბაშიძე.

— ჭიათურელთა მოწოდება ერთსულოვნად მოიწონა ჩვენი წარმოების კოლექტივმა და დამავალა თქვენთვის გამეცნო ის ვალდებულებები, რომლებსაც იგი კისრულობს. გადაწყვიტეთ წელს საწარმოო გეგმა შეგასრულოთ ხუთი დღით ადრე, და დამატებით გამოვუშვათ 40 ათასი მეტრი ქსოვილი, ხოლო 1967 წლის დავალებას გავანაღდებთ ექვსი დღით ადრე და გეგმას გადამეტებით ქვეყანას მივცემთ 50 ათას მეტრ ქსოვილს, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას 1966-1967 წლებში გავადიდებთ 4 პროცენტით, მინიმუმამდე დავიყვანთ ნორმის ვერშემსრულებელთა რიცხვს, მეორე პროფესიას შევასწავლით 90 მუშას. დავზოგავთ 5 ტონა ნედლეულს, შრომის ნაყოფიერებას ორივე წელში გავზრდით 4 პროცენტით, — თქვა მან თავის სიტყვაში.

— ბრიგადაში გულდასმით გავეცანით ჭიათურელთა ვალდებულებებს, შოვიწონეთ და მხარს ვუჭერთ ძვირფას თაოსნობას. მათ საპასუხოდ გადავწყვიტეთ წელს საწარმოო დავალება გავანაღდოთ ცხრა დღით ადრე, ოთხი პროცენტით გავზარდოთ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, წელს მივაღწიოთ იმას, რომ ბრიგადის ყველა წევრი ასრულებდეს დღიურ ნორმას, — ასე განაცხადა თავის სიტყვაში კომკავშირული წარმოების კომუნისტური შრომის ბრიგადის თოჯაკაცმა, ძვეოსტატმა ი. საკაძემ.

მოწონებით შეხვდნენ მაუდის წარმოების მრთველის ბ. ფოცხვერაშვილის გამოსვლას, რომელმაც მოუწოდა კრების მონაწილეებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ შრომისა და წარმოების დისციპლინის დამრღვევებს, იბრძოლონ იმისათვის, რომ კომბინატმა 1967 წელს მოიპოვოს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი.

კარგახანს გაგრძელდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ კომბინატის კოლექტივი როგორი მაჩვენებლებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ტრიბუნაზე ადის კომბინატის შრომის განყოფილების უფროსი თ. ტატუნაშვილი, მან წაიკითხა სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებების პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღეს კრების მონაწილეებმა.

ქართველმა ფეიქრებმა გადაწყვიტეს:

მიმდინარე და 1967 წლების სახალხო სამოსლის პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულოთ ათი დღით ადრე, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა — თვრამეტი დღით ადრე და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 150 ათასი მანეთის პროდუქცია;

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით მინიმუმამდე დავიყვანოთ გამოუშვავების ნორმის არშემსრულებელთა რიცხვი; ამასთან იმ მუშათა რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ, 1967 წლის ბოლოსათვის 260 კაციდან გავზარდოთ 350 კაცამდე;

მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში აუცრათიანობის გაწევის გზით, აგრეთვე გამომგონებლებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 300 ათასი მანეთით და ახალი ხუთწლედის ფონდში შევიტანოთ 250 ათასი მანეთი ზეგეგმით მოგება;

პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით 1966 წელს გავადიდოთ 1 პროცენტით, ხოლო 1967 წელს — 1,5 პროცენტით;

1966 და 1967 წლებში გამოვუშვათ ექვსი სახის ქსოვილი, რომელიც მოხმარების ხანგრძლივობით, ესთეტიკური გაფორმებით და ხარისხით მსოფლიო სტანდარტების დონეს გაუტოლდება;

წელს დავზოგოთ 120 ათასი მანეთის, ხოლო 1967 წელს 180 ათასი მანეთის ნედლეული. დაზოგილი ნედლეულიდან ორივე წელს გამოვუშვათ 350 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია;

შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის მიზნით 1967 წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ ნედლეულის შერევის მექანიკური ლაბორატორია. ამავე წელს დავამთავროთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ სამღებროსაკარბონიზაციო ახალი საამქრო;

ხაშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდებისაგან ტექნიკურ სასწავლებლებში მოვამზადოთ ძირითადი პროფესიის 200 მუშა;

ვიბრძოლოთ ამისათვის, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე კომბინატმა მოიპოვოს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი.

ი. ბეჟაშვილი.

სურათზე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა ჭიათურელთა მოწოდების განხილვას. ტრიბუნაზეა მქსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ნოვატორი ქვეოსტატი ბ. თეოდორაძე.
ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲐᲛᲮ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲐᲛᲮ. ᲚᲔᲝ ᲗᲘᲮᲐᲜ ᲜᲒᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა 9 სექტემბერს მიიღო ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ამხ. ლე თხან ხი, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი, აგრეთვე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. ნგუენ ვან კინი.

საუბარმა ჩაიარა მეგობრულ და გულთბილ ატმოსფეროში. (საკდესი).

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დაიწყო იმ ორგანიზაციულ ღონისძიებათა პროგრამის განხორციელება, რომლებიც წელსვე უზრუნველყოფენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

პროგრამა ითვალისწინებს პრემიების მაქსიმალური ოდენობის გადიდებას, რომელებსაც აძლევენ მოქმედ დებულებათა შესაბამისად, — საწარმოთა მუშებისათვის თვიური ხანგრძლ გამომუშავების ან სტარიფი განაკვეთის 40 პროცენტამდე. რეკომენდებულია პრემიათა მაქსიმალური ოდენობა დაერიცხოს მუშებს, რომლებიც უფრო მეტ დაზგასა და მანქანას ემსახურებიან, ვიდრე ვათვალისწინებულია დარგობრივი ტიპური ნორმებით. მათთან გათანაბრებულია აგრეთვე მუშები, რომლებიც დასაქმებული არიან წარმოების სხვა უმნიშვნელოვანეს უბნებზე.

გადაწყვეტილია გაუდიდეს პრემიათა მაქსიმალური ოდენობა — თვიური ხანგრდ გამომუშავების 60 პროცენტამდე — სართავი, საგრეხი, საფეიქრო და საქსოვი საამქროების ოსტატებს, თუ მათი კომპლექტების ან ბრიგადების მუშები ემსახურებიან შედარებით მეტ დაზგასა და მანქანას, ვიდრე ტიპური ნორმებით არის გათვალისწინებული.

გადაწყვეტილია გამოიყენონ აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომლებიც გაზრდის მუშებისა და სპეციალისტების მატერიალურ დაინტერესებას ხახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებით და ხარისხის გაუმჯობესებით. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს ხელფასის ფონდი მიმდინარე წლის ხექტემბერ-დეკემბერში გაუდიდდათ 75 მილიონი მანეთით.

(საკდესის კორ.).

ᲗᲐᲝᲒᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ II ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲨᲔᲯᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დედაქალაქის ცენტრალურ აეროდრომზე საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ტურისტული ლაშქრობის გამარჯვებულთა მეორე სრულიად საკავშირო შეკრება.

ტრიბუნებზე არიან სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელები, ბებაყოფლებისა და ზოგადოების ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს ხელმძღვანელები, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სკკპ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების წარმომადგენლები, სპორტი სტუმრები — ომისა და შრომის ვეტერანები.

შეკრების მოედანზე გაიმართა „წითელ მეკვლეთა“ მარშ-პარადი. პარადის სარდლის პატაკი მიიღო ლაშქრობის ცენტრალური შტაბის თავმჯდომარემ ორგზის საბჭოთა კავშირის მგრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲣᲖᲘᲐᲜᲘ გეგმის წარმატებით შესრულებაში აქტიური მონაწილეობისა და რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაკთა ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბუკია ალექსანდრე იონას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ᲣᲖᲘᲐᲜᲘ გეგმის წარმატებით შესრულებაში აქტიური მონაწილეობისა და რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაკთა ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბუკია ალექსანდრე იონას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

2. ლიპარტელიანი რაფიელ იასონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

3. ტაბლიაშვილი ელენე მირონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის დიქტორი.

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲗ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

1. ქარუხნიშვილი შოთა ილიას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რეჟისორი.

2. ლიპარტელიანი რაფიელ იასონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

3. ტაბლიაშვილი ელენე მირონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის დიქტორი.

ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲛᲬᲐᲛᲘᲠᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეიჯამა 1966 წლის პირველი ნახევრის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შედეგები.

აღინიშნა: იმის შედეგად, რომ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, განვითარდა მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, რესპუბლიკის მშრომელებმა უზრუნველყვეს ნახევარი წლის პროგრამის შესრულება და გამოუშვეს ათობით მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტით გაიზარდა.

სამრეწველო საწარმოებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის. განხორციელდა საწარმოო პროცესებისა და შრომატევადი სამუშაოების შემდგომი მექანიზაცია და ავტომატიზაცია. წლის პირველ ნახევარში წარმოებაში დაინერგა 8.386 რაციონალიზატორული წინადადება და ხუთწლედის რაციონალიზატორულ ფონდში შეტანილია 3.029,3 ათასი მანეთი.

კარგი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, წარმატებით შესრულდა ჩაის ფოთლის შესყიდვის, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და მყიდველის გეგმა.

ამასთანავე კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებამ, რომლებშიც 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების, საწარმოების, მშენებლობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

1966 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის საწარმოთა 18 პროცენტმა ვერ შეასრულა მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა. საწარმოთა უმრავლესობამ, რომლებმაც გეგმა ვერ შეასრულეს, შედის ქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამმართველო ენერგოშენებლობის სამინისტროში და სხვ.

ცალკეულ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა მუშებს ვერ შეუქმნეს შრომის კარგი პირობები, ცუდად ითვისებენ ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სახსრებს; ხოლო ცხინვალის № 9, ზესტაფონის № 13 სამკერვალო ფაბრიკებმა, თბილისის ტყავნედლეულის ქარხანამ, კვიბისის ტყვია-თუთიის მაღაროთასამმართველომ ვერ აითვისეს ასიგნებული სახსრები.

კვლავ სუსტად სრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საქმთავარენერგოს“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და სხვათა მთელმა რიგმა საწარმოებმა საექსპლოატაციოდ გადასცენ საცხოვრებელი ფართობი, ხოლო საცხოვრებელი ფართობი საექსპლოატაციოდ სრულიად არ გადაუცია საშენმასალათა მრეწველობის, გზების მრეწველობის სამინისტროებს, გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საოლქო საბჭოებსა და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილონ მიზეზები, თუ რატომ არ შესრულდა 1966 წლის პირველი ნახევრის კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებანი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი იმ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია 1966 წლის ხელშეკრულებებით. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲣᲖᲘᲐᲜᲘ გეგმის წარმატებით შესრულებაში აქტიური მონაწილეობისა და რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაკთა ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბუკია ალექსანდრე იონას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ III ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ რუსთაველის სახელობის საყოველთაო დარბაზში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა III ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. ჭელიშვილმა.

ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. ბ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯაგანიშვილი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგის მდივანი, საკავშირო გენერალური ინსპექტორის პირველი მოადგილე ა. ა. ფედოსეიკი, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაკები, რესპუბლიკის ფედერალური ავტონომიური კავშირების ხელმძღვანელები, რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქტორები, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები, ინფორმაციისა და სტამბების მუშაკები.

ანრიზეს აგრეთვე ყრილობის სამანდატო და სარედაქციო კომისიები, სამდივნო.

ტაშის გრიალში ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი — სსრ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

დამტკიცდა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ანგარიში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მუშაობის შესახებ და რეფერატი ჟურნალისტთა ამოცანები XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

2. ანგარიში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

3. არჩევნები:

ა) საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა;

ბ) საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიისა;

გ) სსრ კავშირის ჟურნალისტთა II ყრილობის დელეგატებისა.

დამტკიცდა აგრეთვე საქართველოს ჟურნალისტთა III ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის ჟურნალისტთა III ყრილობისადმი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. ჭელიშვილმა, მეორე საკითხზე — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ ა. ჩავლეიშვილმა.

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი რ. ხირაძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დავითაშვილი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, საკავშირო გენერალური ინსპექტორის პირველი მოადგილე ა. ვიშნევსკი, გაზეთ „ანდსი ყაფშავ“ რედაქტორი ნ. კოტი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ო. ეგაძე.

ყრილობამ მოისმინა და დამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. შამათავამ.

მოხსენებების გამო განახლდა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორი ბ. გოლოვასტეკოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის გამგე პროფესორი დ. გამზარდაშვილი, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქტორი ა. ქუმარიტოვი, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი გ. მეფისაშვილი, გორის რაიონული და საქალაქო გაზეთის „გამარჯვების“ რედაქტორი შ. მახარობლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუღალტრული სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდ

ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

დადგენილია, რომ საშუალო სპეციალური სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების ფილიალებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების შექმნასა და ლიკვიდაციას, აგრეთვე იმ ახალ სპეციალობათა ნუსხის დამტკიცებას, რომელთა მიხედვით უნდა მოამზადონ სპეციალისტები თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში, სხრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით აწარმოებენ სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც სასწავლებლები აქვთ.

სპეციალისტთა მომზადების ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით სხრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაეკისრა ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სახელმწიფო ინსპექტირება.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო, სპეციალისტთა მომზადებას ღღის სწავლების დროს არსებითი უპირატესობა აქვს რაგორც მომზადების ხარისხით, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც. ამიტომ წამოყენებულია წინადადება, რომ სპეციალისტთა მომზადების გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ღღის სწავლების შემდგომი უპირატესი განვითარება. ამასთან საჭიროა განსაზღვროს იმ სპეციალობათა ნუსხა, რომლებშიც მოამზადებენ სპეციალისტებს საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სისტემაში. დადგენილია, რომ წარმოებისგან მოწყვეტლივ სასწავლად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლისას ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მათი მუშაობის ხასიათის შესაბამის სპეციალობებზე სასწავლად გაგზავნილი პირები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს.

მომავალ სპეციალისტთა პრაქტიკული მომზადების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია წესი, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს სტუდენტთა და მოწაფეთა მიერ პრაქტიკის გასავლელად მუდმივ ბაზებად მიემაგროთ საწარმოები და დაწესებულებები.

უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა განკარგულებაშია ყველაზე კვალიფიციური მასწავლებელთა კადრები და თანამედროვე ლაბორატორიული ბაზა, შეიქმნება უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები.

უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიურ დისციპლინათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების მნიშნი 1967 წელს სხრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნება მუდმივმოქმედი უმაღლესი პედაგოგიური კურსები.

უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალური დისციპლინების მასწავლებლები 1967 წლიდან სტაჟს გაიანგარიშებ მორნავე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, წამყვან უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში. ამასთან უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობისგან მოწყვეტით ან მოუწყვეტლივ.

საწარმოთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოგალენი არიან სტაჟის გასავლელად მიიღონ უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და შეუქმნან მათ საჭირო პირობები, რათა გაეცნონ წარმოების ტექნოლოგიას, თანამედროვე მოწყობილობას, ეკონომიკასა და ორგანიზაციას.

სხრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, სხრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს ევალებათ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ უმაღლეს სასწავლებელთა მონაწილეობა საწარმოებსა და დაწესებულებებთან დადებული სამეცნიერო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევის შესრულებაში და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ფულადი სახსრების გამოყოფა ამ მიზნით.

სხრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ საბჭოთა კავშირის 25 წამყვან უმაღლეს სასწავლებელში, რომლებიც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მეცნიერულ კვლევას ანარმოებენ, უნდა დაიწყოს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სასწავლო-დამბმარე პერსონალის დამატებითი შტატები შეასრულებელი კვლევის მოცულობის მიხედვით. ამასთან ნაწილობრივ უნდა შეიმციროთ სასწავლო დატვირთვა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაწილე მეცნიერებს.

გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი ტექნიკის შექმნისა და დამკვიდრებისათვის სამინისტროთა და უწყებათა პრემირების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯებიდან დაჯილდოებულ იქნას უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერ მუშაკთა ხელმძღვანელობით.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით უმაღლეს სასწავლებლებთან რეკტორატს უფლება ეძლევათ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებით გათვალისწინებული ასიგნობებისა და უწყებების, რომლებისთვისაც ეს სასწავლებლები სპეციალისტებს ამზადებენ.

დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომ გაუმჯობესდეს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებისა და განაწილების, ადგილმდებარეობა, აგრეთვე სასწავლებელთა მომარაგება სპეციალური სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობით და ამაღლდეს სხრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს როლი ამ საქმეში.

სხრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქმნილება შეიმუშაოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შესახებ დებულებათა პროექტები, რომლებშიც უნდა გათვალისწინოს სასწავლებელთა მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაცია, მათი ხელმძღვანელების უფლებათა გაფართოება, მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის საკითხების გადაჭრაში, აგრეთვე სტუდენტთა და მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეცნიერულ საქმიანობის ინიციატივის და მათი აქტივობის გაძლიერება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, სტუდენტთა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის მუშაობაში.

სამეცნიერო-კვლევითი [illegible] რამატებებისათვის სტუდენტებს ყოველწლიურად მიენიჭებათ 300-მდე მედალი.

დადგენილია, რომ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მშენებლობა და მოწყობა წარმოებს იმ ვაკიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც საწარმოო მშენებლობისათვის გამოიყოფათ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებისთვისაც ეს სასწავლებლები სპეციალისტებს ამზადებენ.

[illegible] ეს ღონისძიებანი, [illegible] ეფექტურ [illegible] ეფექტურ [illegible] ეფექტურ

სქკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ცხენისწყლის სიკეთე

ეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ქ. წულუკიძეში ქუჩებს ორივე მხარეზე ჩაუდის ბეტონის არხებში მოყოლილი ცხენისწყალი და რომ ამ არხებს სამტრედიის ოთხმოცი წლის ისტორია აქვს. ამ არხებიდან ადამიანებს — ბელისუფლების წლებში ოთხი მაგისტრალური არხი შეემატა. ეს ეს არხი სათავეს ცხენისწყლიდან ღებულობს და ახლა წულუკიძისა და სამტრედიის რაიონების 5 ათას ჰექტარზე მეტ ფართს რწყავს.

